

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს

მრჩეველთა საბჭოს წევრების

განცხადება

ბათუმი
2016 წელი

19 სექტემბერი

მიმდინარე წლის აგვისტოდან, მრჩეველთა საბჭომ დაიწყო მუშაობა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“ს (შემდგომში „მაუწყებელი“) დირექტორის არჩევის წესზე.

პროექტის მომზადების შემდეგ, შესაბამისი წინადადებებისა და შენიშვნების მოწოდების თხოვნით, წერილობით მივმართეთ ქვეყანაში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილს. აღნიშნულ თხოვნაზე განსაზღვრულ ვადაში წერილობითი პასუხი (შენიშვნები) მოგვაწოდა ა(ა)იპ „საერთაშორისო გამჭვირველობა - საქართველო“-მ.

წარმოდგენილ შენიშვნებში ა(ა)იპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ მიუთითებდა შემდეგ გარემოებებზე:

1. მუხლი 3.3. -ში მითითებულია, რომ წარდგენილ დოკუმენტაციაში უნდა იკითხებოდეს სანოტარო აქტების საიდენტიფიკაციო კოდები. ეს თავისთავად იგულისხმება და არ არის საჭირო ამის მითითება პროექტში. ასევე დებულებაში არ არის აუცილებელი მუხლი 3.5. „ბ“ პუნქტის მითითება. 3.5. მუხლის „ე“ პუნქტის მიხედვით აპლიკანტმა უნდა განაცხადოს, თანხმობა დოკუმენტების გასაჯაროებაზე. უმჯობესია სამეთვალყურეო საბჭომ თავის განცხადებაში მიუთითოს რომ წარმოდგენილი განცხადებები გასაჯაროვდება, რაც თავისთავად გულისხმობს აპლიკანტის თანხმობას.

2. კანონთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ საბჭო პირდაპირ კენჭს უყრის კანდიდატებს. კენჭისყრამდე არ არის გასაუბრება ან შერჩევის რაიმე პროცედურა კანდიდატებს შორის. გაუგებარია, რის საფუძველზე უნდა გააკეთოს საბჭომ არჩევანი. კანდიდატებისთვის არც ხედვის და სტრატეგიის წარდგენის ვალდებულება არაა განსაზღვრული. შესაბამისად არსებული წესით შეიძლება აირჩეს კანდიდატი, რომელსაც არ აქვს ჩამოყალიბებული ხედვა და სტრატეგია მაუწყებლის ხედვასთან დაკავშირებით. მუხლის 3.7. ნათქვამია, რომ კონკურსში მონაწილეობთ დაინტერესებულმა პირმა დამატებით წარმოადგინოს მაუწყებლის განვითარების პროგრამა (სტრატეგია) და სამოტივაციო წერილი. ვფიქრობთ, რომ უმჯობესი იქნება თუ ეს ორი დოკუმენტის წარმოდგენა სავალდებულო იქნება, რათა საბჭოს თავიდანვე ჰქონდეს წარმოდგენა აპლიკანტის ხედვასა და მოტივაციაზე;

3. 3.10 ში აღნიშნულია, რომ მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილებით, მაუწყებლის ოფიციალურ ვებ-გვერდზე შეიძლება გამოქვეყნდეს

დაინტერესებული პირების სრული სია, მათ მიერ წარმოდგენილი დანართებით - ვფიქრობთ, ცალსახად უმჯობესი იქნება თუ პროექტში მითითებული იქნება, რომ სია და დანართები აუცილებლად გამოქვეყნდება - მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ წვდომა ასეთ ინფორმაციაზე;

4. მუხლი 5.4. ბუნდოვანია, ნათლად არ არის განსაზღვრული რა ხდება თანაბარი ხმების დაგროვების შემთხვევაში; ბუნდოვანია 5.5. მუხლიც, გაურკვეველია რამდენჯერ არის შესაძლებელი კენჭისყრის ჩატარება განსაზღვრული ვადის განმავლობაში. რადგანაც კანდიდატებს კენჭი ეყრებათ ინდივიდუალურად, გაურკვეველია, თუ როგორ შეძლებენ კანდიდატები, რომლებმაც ორჯერ ვერ მოახერხეს უმრავლესობის მხარდაჭერის მოპოვება, განმეორებით კენჭისყრაზე ხმების დაგროვებას. საკმარისია ერთი ხელახალი კენჭისყრა, რის შემდეგაც კონკურსი გამოცხადდება ხელახლა;

5. გაურკვეველია ჩანაწერი: განცხადებაში უნდა აღნიშნოს და დააჯამოს სამუშაო გამოცდილება თითოეული ცალკ-ცალკე.;

6. დამატებით ვფიქრობთ, რომ კონკურსის შესახებ ინფორმაცია არა მხოლოდ აჭარის საზღაურს ვებ გვერდზე, არამედ HR.GOV.GE -ზეც უნდა გამოქვეყნდეს.

მრჩეველთა საბჭოს განმარტებები:

წარმოდგენილი შენიშვნების (1) პირველი მუხლის პირველ ნაწილთან მიმართებაში (მუხლი 3.3.) ვთვლით, რომ ელექტრონული ფორმით წარმოდგენილ დოკუმენტაციაში სანოტარო აქტების საიდენტიფიკაციო ნომრები უნდა იკითხებოდეს და თუ ამაზე ნათლად იქნება გაკეთებული მითითება, არსებითად ნათელს ხდის მონაწილეებისათვის წარმოსადგენი დოკუმენტაციის ფორმალურ მხარეს. რისი დაუცველობაც მომავალში, შეიძლება უარის თქმის საფუძველი გამხდარიყო. ამასთან, სანოტარო აქტის საიდენტიფიკაციო ნომრები (რომელიც სხვა გვერდზეა განთავსებული) არის მარტივი საშუალება ნამდვილობის გადასამოწმებლად (ელექტრონულად).

შენიშვნების პირველი მუხლის მე-2 ნაწილთან მიმართებაში (მუხლი 3.5. „ბ“ - განცხადების შინაარსში ნათლად უნდა იყოს გაკეთებული მითითება მასზედ, რომ კანდიდატი აკმაყოფილებს კანონით დადგენილ მოთხოვნებს;) ვთვლით, რომ კანდიდატს თავად უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული ის ფაქტი, რომ აკმაყოფილებს კანონით დადგენილ მოთხოვნებს, და აღნიშნულის მითითება - უარყოფითად არ შეიძლება აისახოს კონკურსის წესზე;

შენიშვნების პირველი მუხლის ბოლო ნაწილთან მიმართებაში (3.5. „ე“ პუნქტზე) სრულად იქნა გაზიარებული წარმოდგენილი შენიშვნები და დამტკიცებული წესის 3.10. პუნქტში აისახა (განცხადებ(ებ)ის წარმოდგენის ვადის ამოწურვისთანავე მაუწყებლის ოფიციალურ ვებ-გვერდ(ებ)ზე ქვეყნდება დაინტერესებული პირების სრული სია).

შენიშვნების მეორე მუხლის საპასუხო პუნქტი - მითითებული იყო როგორც პროექტში (5.6. ამ მუხლით გათვალისწინებულ თითოეულ კენჭისყრამდე მრჩეველთა საბჭო უფლებამოსილია თითოეულ კანდიდატთან გამართოს შეხვედრა, მათი პროგრამის, სტრატეგიისა და სამომავლო ხედვების შესაფასებლად), ასევე მითითებულია დამტკიცებულ წესშიც (5.7. ამ მუხლით გათვალისწინებულ თითოეულ კენჭისყრამდე მრჩეველთა საბჭო უფლებამოსილია თითოეულ კანდიდატთან გამართოს გასაუბრება, მაუწყებლის განვითარების ხედვაზე);

შენიშვნების მესამე მუხლი სრულად იქნა გაზიარებული დამტკიცებული წესის 3.9. პუნქტში: (განცხადებ(ებ)ის წარმოდგენის ვადის ამოწურვისთანავე მაუწყებლის ოფიციალურ ვებ-გვერდ(ებ)ზე ქვეყნდება დაინტერესებული პირების სრული სია);

შენიშვნების მე-4 მუხლთან მიმართებაში მაქსიმალურად მოხდა გათვალისწინება - იმ მოცულობით რის საშუალებასაც მოქმედი კანონმდებლობა იძლევა (5.4. თუ პირველი კენჭისყრის შედეგად ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ დააგროვა კანონითა და ამ წესით განსაზღვრული საჭირო ხმების ოდენობა, უკეთესი შედეგის მქონე ორი კანდიდატის მონაწილეობით იმართება ხელახალი კენჭისყრა; 5.5. თუ პირველი კენჭისყრის დროს არ გამოვლინდა ორი უკეთესი შედეგის მქონე კანდიდატი, განმეორებით კენჭისყრაში კანდიდატის სტატუსით სარგებლობს ყველა ის პირი, რომელმაც ერთი ხმა მაინც მიიღო);

შენიშვნების მეხუთე მუხლთან მიმართებაში - მაქსიმალურად განხორციელდა წარმოდგენილი შენიშვნის გაზიარება (3.5. „გ“ განცხადებაში უნდა აღნიშნოს და დაჯამდეს ხელმძღვანელ თანამდებობაზე, ადამიანის უფლებათა დაცვის, ჟურნალისტიკის ან/და სამეცნიერო-პედაგოგიურ სფეროში სამუშაო გამოცდილება, თითოეული ცალკ-ცალკე);

შენიშვნების მეექვსე მუხლთან მიმართებაში - მაქსიმალურად განხორციელდა წარმოდგენილი შენიშვნების გაზიარება (2.3. დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილება დაუყონებლივ უნდა გამოქვეყნდეს მაუწყებლის ოფიციალურ ვებ-გვერდებზე. კონკურსის შესახებ განცხადება მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილებით ასევე შესაძლებელია გავრცელდეს სხვა საშუალებებით).

რაც შეეხება, ა(ა)იპ „საერთაშორისო გამჭვირველობა“ საქართველოს ძირითად პრეტენზიას - კანდიდატის მიერ ხედვისა და სტრატეგიის წერილობითი ფორმით წარმოდგენის სავალდებულობაზე, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 35¹⁰ -ე მუხლის მე-4 ნაწილი ზუსტად განსაზღვრავს იმ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რომლის დაკმაყოფილების შემდეგაც დაინტერესებულ პირს მიენიჭება კანდიდატის სტატუსი („დირექტორობის კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე, საზოგადოებრივი აღიარებისა და ნდობის მქონე პირი. მას უნდა ჰქონდეს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და არანაკლებ 10 წლის მუშაობის გამოცდილება, მათ შორის, ხელმძღვანელ

თანამდებობაზე მუშაობის სულ ცოტა 3 წლისა და ჟურნალისტიკის, ადამიანის უფლებათა დაცვის ან/და სამეცნიერო-პედაგოგიურ სფეროში მუშაობის არანაკლებ 5 წლისა). არც აღნიშნული და არც სხვა ნორმა მრჩეველთა საბჭოს არ ანიჭებს უფლებამოსილებას დამატებითი მოთხოვნების დაწესებისთვის. ნებისმიერი დამატებითი მოთხოვნა, რომელიც კანონით დაწესებულ იმპერატიულ მოთხოვნებს გაცდება ბათილია;

მრჩეველთა საბჭოს ფორმალურად შეეძლო აღნიშნული დამატებითი მოთხოვნების არჩევის წესში მოქცევა, მაგრამ ეს მოთხოვნა ვერ იქნებოდა იმპერატიული ხასიათისა და შესაბამისად დოკუმენტის წარმოუდგენლობა, ვერ გახდებოდა რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი. რაც კანონითა და ამ წესით გადმოცემული თანაბრობის პრინციპის ერთგვარ დარღვევად შეიძლება აღქმულიყო.

რაც შეეხება, ა(ა)იპ „საერთაშორისო გამჭვირველობა- საქართველოს“ რეგიონალური კოორდინატორის მიერ სატელევიზიო და საგაზეთო ინტერვიუების დროს გაცხადებულ პრეტენზიას დამტკიცებული წესის მე-7 მუხლთან (ჩაშლილი კონკურსი) დაკავშირებით, ვთვლით, რომ აღნიშნული ნორმით დაზუსტდა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 35¹⁰-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები, რადგან კანონმდებელი ზუსტად განსაზღვრავს დროის იმ მონაკვეთს, რომლის განმავლობაშიც უნდა განხორციელდეს მაუწყებლის დირექტორის არჩევა. აღნიშნული მუხლის დამატების საჭიროება ასევე გააჩინა წარმოდგენილმა შენიშვნამაც, სადაც ა(ა)იპ „საერთაშორისო გამჭვირველობა - საქართველო“ მიუთითებს კენჭისყრის ოდენობების ზუსტად განსაზღვრაზე (დაყვანილი იქნა ორამდე), და იმ გარემოებამაც, რომ მრჩეველთა საბჭო შედგება ადამიანებისაგან და შესაძლებელია სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური გარემოებების გამო კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში ვერ განხორციელდეს ქვორუმის შეკრება.

შესაბამისად, აღნიშნული შენიშვნაც სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ იმავე შენიშვნებზე საუბრობს „საქართველოს ჟურნალისტთა ეთიკის ქარტიის“ აღმასრულებელი დირექტორი (batumelebi.netgazeti.ge/news/56754/#sthash.p3bVjDFb.dpuf) და დამატებით აღნიშნავს: - „ჩვენი შენიშვნა იყო ის, რომ დირექტორი უნდა არჩეულიყო არა სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობით, არამედ მთლიანი შემადგენლობის უმრავლესობით“ - განვმარტავთ: აღნიშნული მოსაზრება წინააღმდეგობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი ზუსტად განსაზღვრავს მისაღები გადაწყვეტილებების იმ ჩამონათვალს, რომლის მისაღებადაც აუცილებელია სრული შემადგენლობის უმრავლესობის (და არა დამსწრეთა უმრავლესობით) მხარდაჭერა. კანონმდებლობა მრჩეველთა საბჭოს არ აძლევს იმის უფლებას თვითონ გადაწყვიტოს (აირჩიოს/დაადგინოს) საკიხები, რომელთან დაკავშირებითაც თავად განსაზღვრავს ქვორუმს და გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი ხმების რაოდენობას.

ამდენად, მკაფიო შეიძლება განვაცხადოთ, რომ ეს შენიშვნაც მოკლებულია სამართლებრივ საფუძვლებს.

აქვე გვსურს, მადლობა გადავუხადოთ საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც დაინტერესდა ჩვენი მუშაობით, მოგვაწოდა შენიშვნები და მოსაზრებები. რამაც დოკუმენტის დახვეწის შესაძლებლობა მოგვცა. ის გარემოება, რომ მრჩეველთა საბჭომ სამართლებრივი თუ კერძო მოსაზრებებიდან გამომდინარე არ გაითვალისწინა ყველა შენიშვნა, ვიმედოვნებთ არ აღმოჩნდება ბარიერი ჩვენი მომავალი თანამშრომლობისათვის.

ხელმომწერი წევრები:

რუსუდან (ნატა) იმედაიშვილი იმედაიშვილი

ბეჟან გობაძე

გიორგი ირემაძე

05.10.2016წ.

